ოლიმპიადაზე დასარეგისტრირებლად ეწვიეთ: https://kings.ge/register

კინგსის ქართული ენის ოლიმპიადა 2020 / I ტური
მე-3 კლასი

I სავარჯიშო : მარცვალი, დამარცვლა და გადატანა,არსებითი სახელები, საკუთარი სახელები.
შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ და გ

1. რომელია სწორად დამარცვლილი?
   ა) ტ-ყე ბ) სამ-შობ-ლო გ) წა-რმ-ატე-ბული

2. რამდენი საკუთარი სახელია ტექსტში?
   „ საახალწლო ზეიმზე დანიელი და გიგი კარგად მომზადებულები მივიდნენ. ნინო მასწავლებელმა ისინი შეაქო და საჩუქრებით დააჯილდოვა.“
   ა) ერთი ბ) ორი გ) სამი

3. შეიძლება თუ არა ერთი თანხმოვნის დატოვება სტრიქონზე?
   ა) შეიძლება ბ) არ შეიძლება გ) ზოგჯერ შეიძლება, ზოგჯერ - არა

2. ჩამოთვლილთაგან, რომელია ორმაცვლიანი: ,,ქალაქი, ტყე, წიგნი“ ?
   ა) წიგნი ბ) ქალაქი გ) ტყე

3. რამდენი მარცვალია წინადადებაში:
   „საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ!“
   ა) ათი ბ) რვა გ) თორმეტი

5. რომელია დახურული მარცვალი?
   ა) დედას ბ) მამა გ) მთა

6. ჩამოთვლილი სიტყვებიდან რამდენს დაესმის კითხვა ვინ?
   „ ბაღი, მეგობარი, ექიმი, ქალაქი, მასწავლებელი?“
   ა) ერთ სიტყვას ბ) ორ სიტყვას გ) სამ სიტყვას

8. რომელ რიგშია ანბანის რიგზე დალაგებული საკუთარი სახელები?
   ა) ვანო, ანანო, ივერი.
   ბ) ანასტასია, ბელა, გელა.
   გ) ემზარი, ირაკლი, ანა.

9. რამდენი არსებითი სახელია გადაბმულ წინადადებაში?
   „ მიყვარსწიგნები,ვუსმენმუსიკას''
   ა) ერთი ბ) სამი გ) ორი

10. რამდენი სულიერი სახელია მოცემულ ტექსტში?
   „ დათვი და სპილო დაძმობილდნენ. ერთად სვამდნენ, ჭამდნენ და სხვა ცხოველებსაც დიდი პატივით უმასპინძლდებოდნენ. განსაკუთრებით მოსწონდათ ლომისა და ზებრას სტუმრობა.“
   ა) ოთხი ბ) სამი გ) ხუთი

II სავარჯიშო: მოქმედების გამომხატველი სიტყვები და მათი დროები
შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ და გ

11. რამდენი მოქმედების გამომხატველი სიტყვაა წინადადებაში:
   „ იამაყე შენი ქვეყნით და გაიხარე მისი წარმატებით!“
   ა) ერთი ბ) ორი გ) სამი

12. ჩასვით წინადადებაში შესაბამისი მოქმედების სიტყვა:

„ გოგონებს ძალიან ..... თოჯინებით თამაში.“

ა) მოსწონს ბ) უყვარს გ) უყვართ

13. ჩასვით წინადადებაში შესაბამისი მოქმედების სიტყვა:

„ მე დედას ყვავილები ..... ‘’.

ა) ვაჩუქე ბ) აჩუქე გ) აჩუქა

14. როდის ხდება მოქმედება წინადადებაში:

„ შემოდგომის მზემ ამოანათა.“

ა) ახლა ბ) წარსულში გ) მომავალში

15. როდის ხდება მოქმედება წინადადებაში:

„ მალე ყურძენი დაიკრიფება.“

ა) მომავალში ბ) წარსულში გ) აწმყოში

III სავარჯიშო: სასვენი ნიშნები წინადადებაში. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (20 ქულა)

16. რა შემთხვევაში ვწერთ წინადადების ბოლოს წერტილს?

ა) როცა აზრი დამთავრებულია;

ბ) როცა გვეკითხებიან;

გ) როცა გვიბრძანებენ;

17. რომელ წინადადებაში უნდა გამოვიყენოთ მძიმე?

ა) დღეს კარგი ამინდია.

ბ) კოტემ ჩანთაში ჩაალაგა წიგნები რვეულები კალმები.

გ) ხემ მოისხა ფოთოლი.

18. რომელ წინადადებაშია სწორად დაწერილი სასვენი ნიშანი?

ა) აკაკი წერეთელი დაიბადა სხვიტორში.

ბ) რა გქვია შენ:

გ) მე მიყვარს ნაყინი - ?

19. რა სასვენ ნიშანი უნდა დავსვათ წინადადების ბოლოს: **„საით მიფრინავენ წეროები’’**

ა) მძიმე ბ) ტირე გ) კითხვის ნიშანი

20. რომელ წინადადებაშია სწორად დაწერილი სასვენი ნიშანი?

ა) ვის უნდა ხაჭაპური.

ბ) მას ყველაფერი მოსწონდა :

გ) „ ჩვენ ვიბრძოლებთ გამარჯვებისთვის!“